სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ: მან.
ერთის წლისა —	4 მან.	— 3
ნახევრის წლისა —	3 —	— 2
სამის თვ...	...	— 1 მ.

გამოდის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

...ცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 11. შაბათი. III. 21 ივნისი, 1870 წ.

შინაარსი:

— ოფიციალური ნაწილი: — განცხადება სოფლის სასამართლოებთან. — გადასახადზე ჯარიმაზე და შტრაფზე. — ჩვენებური ხალიჩების გაყიდვა. — მეგრელების და ოსების გადმოსახლება ქართლში. — ამხანაგობის ძალა. — საოჯახო ნაწილი: — თევზის გაშენება. — სამეცნიერო ნაწილი: — რა არის ქიმია. — საექიმო ნაწილი: — წითელა. — რუსეთის ამბები. — საკვირველი შემთხვევა: — სამთვარიოთ ავათმყოფი. — განცხადება.

ოფიციალური ნაწილი.

განცხადება.

სოფლის საზოგადო სასამართლოებთან.

კავკასიის ნამესტნიკის უმთავრეს სამმართველოში რომ განიხილეს სადავო საქმეები, რომელნიც აღიძრენ მიწების გამიჯვნის დროს, შენიშნეს, რომ ერთის სასოფლო საზოგადოების მოხელეთა ხაზინის ვექილის დაუსწრებლად განაცხადეს დავა კერძო პირების წინააღმდეგ რამდენსამე ნაჭერ ადგილებზე, რომელნიცა ეკუთვნიან ხაზინას, და ოლქის სასამართლოშიაც იდავეს, მაგრამ შემდეგ შეიტანეს თხოვნა იმავე სასამართლოში, რომ დავაზე უარს ვამბობთო და ითხოვენ იმათგან დაწყებულ დავის შეწყვეტას; მაგრამ საქმის გარემოებიდგან სჩანს, რომ ის მიწები, რომლებზედაც იმათ დავა ატეხეს, მართლაც ხაზინას ეკუთვნიან.

ამისგამო ვაცხადებთ, ინსტრუკციის 17 მუხლის საბუთით, რომელიცა დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა 1869 წელს, 30 ივნისს, რომ მხოლოდ სახელმწიფო-ქონების ადგილობრივთა სამმართველოთა შეუძლიანთ გუბერნიის უფროსის ნებართვით, უარი სთქვან სასამართლოში სამიჯნაო მამულის შეცილებაზე, რომელიცა უკანონოთ მომხდარა გამიჯვნის დროს და სოფლის მოხელეებს, რომელთაც თავიანთ სოფლებში აქვსთ სახელმწიფო მიწები სამუშაოთ აღებული, არა აქვთ ნება სასამრთლოში დავაზე უარი სთქვან. რადგან ამისთანა შემთხვევა შეიძლება მოხდეს სამოსამართლო საქმეების შესახებაც, ამისთვის 1314 მუხლის საბუთით (уст. гражд. судопр.) სახაზინო სოფლის საზოგადოებათა ნება ეძლევათ განაცხადონ დავა, თუ ვინმე დაიწყო სარჩლობა სახაზინო მიწებზე, რომელნიც გლეხებს უჭირავს; და ამით ვაცნობებთ ყველა სახაზინო გლეხების საზოგადოებას, რომ იმათ ეძლევათ ნება დაიწყონ დავა იმათგან სამუშაოთ აღებულ სახაზინო მიწების დასაცველათ კერძო კაცების დაპატრონებისაგან, მაგრამ იმათ ნება არა აქვთ ჯეროვანი მთავრობის ნება-დაურთველათ შესწყვიტონ დაწყებული დავა და ვინც ამ წესს დაარღვევს იმას ფიცხად გადახდება და პასუხი მოეთხოვება ხაზინის დაზარალებისათვის, რომელიც შეიძლება მოხდეს ამ შემთხვევაში.

ტფილისის გუბერნიის სახაზინო ქონების გამგებელი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ძუბენკო.

ОБЪЯВЛЕНІЕ

Сельскимъ общественнымъ управленіямъ.

При разсмотрѣніи въ Главномъ Управленіи Намѣстника Кавказскаго дѣлъ по спорамъ, возникшимъ при межеваніи земли, замѣчено, что выборные отъ одного сельскаго общества, при участіи уполномоченнаго по межевымъ дѣламъ, заявили споръ противъ частныхъ лицъ о нѣсколькихъ участкахъ земли, принадлежащихъ казнѣ, и защищали права ея въ окружномъ судѣ, но послѣ того подали прошеніе въ судъ, что они отказываются отъ спора и просятъ прекратить возбужденное ими производство; между тѣмъ изъ обстоятельствъ дѣла видно, что земля, о которой они заявили споръ, дѣйствительно принадлежитъ казнѣ.

Въ слѣдствіе того симъ объявляется, что на основаніи 17 ст. инструкціи, утвержденной Великимъ Княземъ Намѣстникомъ 30 Іюня 1869 года, предоставлено только мѣстнымъ Управленіямъ Государственными Имуществами, съ разрѣшенія начальника губерніи, отказаться отъ защиты на судѣ отвода, неправильно сдѣланнаго при межеваніи, а выборнымъ отъ обществъ, у которыхъ состоятъ только въ пользованіи казенныя земли, правъ на это не предоставлено; а какъ подобный случай можетъ быть и по дѣламъ судебнымъ, такъ какъ на основаніи 1314 ст. уст. гражд. судопр. предоставляется казеннымъ обществамъ предъявлять искъ о возстановленіи нарушеннаго кѣмъ либо владѣнія ихъ казенными землями, то симъ разъясняется всѣмъ обществамъ казенныхъ крестьянъ, что имъ предоставлено право заявлять споры въ защиту правъ казны на зем-

лю, находящуюся въ ихъ пользованіи, но что имъ отнюдь не принадлежитъ право безъ разрѣшенія надлежащей власти, прекращать возбужденныя дѣла, каковое принадлежитъ исключительно только казнѣ; и что посему нарушеніе этого правила подвергнетъ ихъ строгому взысканію и отвѣтственности за могущіе произойти отъ того для казны убытки.

Управляющій Государственными Имуществами, Дѣйствительный статскій совѣтникъ

Дзюбенко.

გადასახადი ჯარიმა და შტრაფი მთელი სოფლისა არის.

ამას წინა გაზეთის ფურცლებში მამასახლისების ურიგობაზე ვილაპარაკეთ, რომ ზოგიერთნი კანონის წინააღმდეგათ იქცევიან. სოფლის შემწეობის მაგიერათ სოფელს აწუხებენ და ვალებში აგდებენ, რაც იმათი საქმე არ არის, იმისთანა საქმეებში ერევიან, სოფლის სასამართლოში სუდიების გვერდითა სხედან და ასამართლებენ იმათთან. როგორც ვთქვით ამას წინათ, კანონის ძალით მამასახლისები და ნაცვლები არამც თუ სამართალში არ უნდა გაერივნენ, საცა სუდიები მოჩივრების საქმეს არჩევენ, იმ ადგილსაც არ უნდა იყოს მამასახლისის ხსენება. ეს კარგათ უნდა შეიტყონ მამასახლისებმა და ნაცვლებმა.

ამ ურიგობას გარდა მამასახლისები ერთ ცუდ საქმესაც ჩადიან. აი, რასა.

სოფლის სასამართლოში რომ ჯარიმას, შტრაფსართმევენ, ეს ჯარიმა მთელი სოფლისაა. დამნაშავეს რაც უნდა გადაახდევინონ, ფულია, თუ ძროხაა, თუ წიწილაა, ეს სულ სოფლისა უნდა იყოს, სოფლისათვის უნდა დარჩეს. ფული უნდა მიჰბარდეს სანდო კაცსა; ძროხაა, თუ ღორია, თუ წიწილაა ეს უნდა გაიყიდოს და ფულათ იქცეს, ეს ფული სულ ერთიანათ უნდა შეგროვდეს ან მამასახლისთან ან სხვა სანდო კაცთან. ამას გარდა ბილეთების და ბეჭდის ფულს რომ იღებს მამასახლისი, ესეც იმ ფულს უნდა მიემატოს.

რას უშვრებიან ამ ფულსა, ახლა ეს ვიკითხოთ. მამასახლისი ბეჭდისა და ბილეთის ფულს ორ აბაზს თითონ იღებს. ძროხა და ღორი, ქათამი და წიწილა კი არ იყიდება და ფულათ არ იქცევა, ამაებსა ჰკლავენ და მამასახლისები, სუდიები, გზირები, მევლები თითონ მიირთმევენ, თითქოს თავისი მოგება იყოსო. სამართლით ეს ასე კი არ უნდა იყოს, ესეები უნდა შეგროვდეს სოფლის შკოლისათვის, პურის მაღაზიისათვის, და დაცემულ კაცის ხელის გასამართავათ.

ეხლა გლეხები ჩივიან, რომ შკოლისთვის, პურის მაღაზიისათვის ფული არა გვაქვსო; რასაკვირველია, ეს ჯარიმის ფული ცოტა იქნება პირველ ხანებში, მაგრამ მერე და მერე მოემატება და ცოტაოდენ შეღავათს მისცემს. მაინც და მაინც რაც უნდა ცოტა იყოს ეს ფული მამასახლისის, სუდიების, გზირების ჯიბეში არ უნდა ჩავიდოდეს. რამდენიც ეს ჯარიმა ცოტა იქნება შემოსული, იმდენი კარგია; ამიტომ რომ ალბათ დანაშაულობა ცოტა ყოფილა. თუ ეს ჯარიმა მამასახლისებმა და სუდიებმა აიღეს, ბოლოს იქნება სიხარბით მეტ-მეტიც შეაწერონ. როცა ეს ჯარიმა იმათ ჯიბეში არ ჩავა და სოფლის სასარგებლოთ შენახული იქნება, მაშინ სოფლის ამორჩეული კაცები ფთხილათ იქნებიან. რა კი ეცოდინებათ, რომ იმათ ჯიბეში არ ჩადის, სოფლის ხალხიც უფრო კარგათ თვალ-ყურს ადევნებს ამ ჯარიმის ფულსა და ფრთხილათ გადაახდევინებს.

ერთ სოფელში სოფლის სასამართლოს შემოსავალი და გადასახადი სულ მამასახლისმა შესჭამა. ბოლოს ანგარიში რომ მოსთხოვეს, პირშავი გამოვიდა, მაგრამ მაინც ცოტაოდე ფული შერჩა.

ამ ანგარიშის გულისათვის სოფლის სასამართლოში ერთი წიგნი რომ გაიმართოს, კარგი იქნება. ყველა გადასახადი ჯარიმა, ან ბეჭდისა და ბილეთის ფული რაც შემოსულა, სულ ამ წიგნში ჩაიწეროს. წელიწადში ორჯელ-სამჯერ გაშინჯონ, რა ფულია და ვინც უნდოდეთ, იმათ ჩააბარონ ეს ფული, ან სოფლის შკოლას მოახმარონ, ან პურის მაღაზიას, ან ღარიბ კაცს ასესხონ ცოტა სარგებლითა.

ეს საქმე ძალიან კარგი იქნება. სოფლის გლეხობა ყველა ამას ყურს უნდა უგდებდეს. ყველა ურიგობას უნდა უშლიდეს მამასახლისსაც, მოსამართლესაც (სუდიასაც), ნაცვალსაც და ყველას, ვისაცა ჰხედავს. კანონი და სამართალი ამას მოითხოვს, რომ ყველა რიგიანათ კეთდებოდეს.

პეტრე უმიკაშვილი.

ჩვენებური ხალიჩების გაყიდვაზე.

*

ქალაქში სახლებში ძალიან ხშირათ პოლოზე გაფენილია ვიწრო ხალიჩა შესავალ კარიდგან მეორე კარებამდინ. ეს იმიტომ რომ პოლი არ გამტვერიანდეს და მუდამ სუფთათ იყოს. ეს ხალიჩა არის ხოლმე ორ მტკაველ ნახევრის სიგანე და სიგძით რვა ცხრა ნაბიჯია და მეტიცა. ამისთანა ხალიჩა უფრო უბრალო ნაქსოვია ჩვენ ხალიჩებზე და ერთი ფერისაც არის, ზოგი შავია, ზოგი რუხვი, ზოგი მოლურჯო, უფრო თალხი ფერია; ფასი ამისი არის ადლი ორ აბაზათ ათ შაურათ და უფრო მეტიც ასე, რომ ათ ადლიანი ხალიჩა იყიდება, სულ უკანასკნელი ოთხ ხუთ მანეთათ. ჩვენ სოფლებში ამ ხალიჩების მოქსოვა არ გაუძნელდებოდათ და რადგანაც მატყლი საკმაოთა აქვთ, ზოგიერთ სოფლებში ამ უბრალო ხალიჩის მოქსოვა იეფათ დაუჯდებოდათ. როგორცა ვთქვით ფერადი, აჭრელებული შეხამება არ უნდა, ოღონდ უბრალო სადა ერთი ფერისა იყოს. სიადვილის გულისათვის რამდენიმე დედაკაცები რომ ერთათ შეერთებულიყვნენ ამ გვარი ხალიჩების საქსოვათა, ძალიან კარგი იქნებოდა. მალეც მოახერხებდნენ და უფრო იაფათაც დაუჯდებოდათ. ხალიჩები ქალაქში ხშირათ თამამშოვის ქარვასლის წინ იყიდება, საცა პოლიცია არის. აქ მეტადრე ზამთრობით ბევრი ხალიჩები ჩამოაქვთ თათრებსა, მაგრამ ჩვენ ქართველებისას კი კაცი ვერ ნახავს.

აგერ რვა ცხრა წელიწადი იქნება რაც იმერლები და ოსები გადმოდიან შუა ქართლში დასასახლებლათ. სასოფლო ადგილებს უფრო ძველ ნასოფლარებს ირჩევენ, სადაც წყალია. ამ ნასოფლარებში, თუ ტყეებია, ჰკაფვენ. ძველი ნამგვრევის კედლები, საწნახელები, ხაროები და სხვა შენობა ახალ მოსახლეებს კარგათ ხარჯს უმცირებს. ამ გვარათ დასახლებულან: ყელეთში, ხავლეთში, ოქროს-სოფელში და მთელ ძოვრეთის ხეობაში და სხვაგან. ეს სოფლები ამავე სახელით ძველი ნასოფლარებია და ძოვრეთი ნაქალაქევია. ჩვენი მამულის პატრონები რომ კაი ანგარიშის ხალხი იყოს, კარგათ ხელი უნდა გაუმართონ გადმოსახლებულებს. ამ სახით იმათი ცარიელი მამულები ხალხით გაშენდებოდა.

ამხანაგობის ძალა

VIII

წინანდელ ნომერში რომ ამხანაგობაზე ვლაპარაკობდით, იმნაირი ამხანაგობების სარგებლობას მკითხველი ყველაზე უფრო კარგათ მაშინ დაინახავს, როცა ჩვენ მოუყვებით ერთი ამ გვარი ამხანაგობის ისტორიას.

ინგლისის ქვეყანაში ერთი პატარა ქალაქია, რომელსაც სახელათ რ ო ჩ დ ე ლ ი ჰქვია; ამ ქალაქში განსაკუთრებით ფაბრიკებია გამართული, და მუშები სცხოვრობენ. ოცდა ათი წელიწადია მას აქეთ, ეს ქალაქი სხვა ქალაქებივით უშნო და ღარიბი იყო: კომლით გაშავებული ფაბრიკები თითქო სასაფლაოს ძეგლებივით დასცქეროდენ შავ და დანგრეულ მუშების ქოხებს, რომელშიაც დღისით ადამიანის ლანდიც არა სჩნდა, ამიტომ რომ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ფაბრიკებში მუშაობდნენ, მწარე სიღარიბის გამო, და მაინც სიღარიბეს თავიდან ვერ იშორებდნენ. მუშა ხალხი უგუნური, ბინძური, ლოთი და ავაზაკი იყო და პატრონებს იმათზე ცემატყეპის მეტი, არა გაუღიოდათ რა.

ათას რვაას ორმოცდა ოთხში, ესე იგი ოცდა ექვსი წელიწადია მასაქეთ, ოთხ როჩდელელ მუშას გაეგონათ სადღაც, რომ კარგი იქნება ერთათ რომ ვყიდულობდეთ ჩვენ ხორაგოულობასო და ჩვენთვის საკუთარ პაწაწინა დუქანს გავიმართავდეთო. მაგრამ, დუქნის გამართვას ფული უნდოდა. ამის გამო იმ ოთხმა მუშამ ერთმანერთს პირობა მისცეს, ყოველ კვირაში ჩვენი ჯამაგირიდან რამდენიმე გროში გადავდვათო და რაც შეიძლება მეტს ამხანაგებს გამოვალებინოთ აგრეთვეო.—ეს პირობა იმათ ძალიან მტკიცეთ შეასრულეს, და ორი წლის შემდგომ ერთ მოშორებულ ქუჩაში, ბნელ სარდაფში, გაიმართა „ამხანაგური მაგაზია.“

პირველად, ამ მაგაზიას, ვინც გამართა, იმათ მეტი მყიდველი არავინ ყავდა. მაგრამ რაკი ხალხმა დაინახა, რომ შიგ სხვა ადგილებზე უფრო იაფათ იყიდებოდა უკეთესი საქონელი, მალე მიატოვა სხვა დუქნები და საამხანაგო მაგაზიისკენ მიმართა. დიდი დაბრკოლება ამ შემთხვევაში ის იყო, რომ ეს მაგაზია ნისიათ არავის არ აძლევდა, სხვა დუქნებში კი მუშები ნისიით დავალებული იყვნენ, და მათი ჯამაგირი პირდაპირ მედუქნეებს მიჰქონდათ. როგორც იყო, მუშებმა გაიჭირვეს საქმე, ნისიის ვალი გადაიხადეს, და საამხანაგო მაგაზიაში დაიწყეს ხორაგის ყიდვა. რამდენათაც მყიდველები მატულობდენ, იმდენათაც მატულობდენ ამხანაგები, და რადგანც, მათი პირობისამებრ, მაგაზიას რაც სარგებლობა დარჩებოდა, თანხის გასადიდებლათ და ამხანაგობის სასარგებლოთ უნდა მოხმარებულიყო, ამხანაგებმა იმ სარგებლით გამართეს ფურნე, სადაც იაფათ კარგ პურს იცხობდნენ, გააწყვეს საყასბო, საიდანაც მშვენიერი ხორცი გამოქონდათ, და ამ ნაირათ ცოტ-ცოტათ აუმჯობესებდენ თავისი ამხანაგობის მდგომარეობას.

იმათი საქმე თან-და-თან უკეთ და უკეთ მიდიოდა, რადგანც ამორჩეული გამგებლები ერთი მეორის წინ ცდილობდა საზოგადო საქმის წარმატებას, და თვითონ ამხანაგები, თავიანთი მხრით, დღე-და-ღამ თვალ გამოხეღილი იყვნენ იმაზე, თუ როგორ უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი ამხანაგობის მდგომარეობაო. ამოდენა ცდას, მუყაითს და გულისყურის დადებას ცუდათ არ ჩაუვლია: ეხლა ამხანაგობას აქვს როჩდელში მშვენიერი და უზარ-მაზარი სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, რომელიც ამხანაგობის მაგაზიებისთვის არის გაშენებული. მშვენიერათ გაწყობილ მაგაზიებში იყიდება ყოველიფერი, რაც კი სჭირია საზოგადოთ მუშას, ხორაგეული ვარ, თუ ტანსაცმელი, თუ სამუშაო იარაღი, და სხვ. ზეითური ეტაჟები უკავია დიდ-უშველებელ ზალას, სადაც ათიათასზე მეტი ამხანაგების კრება ეტევა ერთათ, საამხანაგო ბიბლიოთეკას, რომელშიაც რამდენიმე ათასი უმჯობესი წიგნებია შეკრებილი, და საკითხავ ოთახს, სადაც თითქმის ყველა ინგლისის და უმჯობესი საძღვარ გარეთელი გაზეთებია შეკრებილი. გაზეთებს ამხანაგები იქვე კითხულობენ, წიგნები კი შინ მიაქვთ საკითხავათ, თითო-ორ-ორი კვირის ვადით.

რა და-რა მშვენიერი და ხალხის სასარგებლო გაწყობილებაა ამ „მუშების სასახლეში“, რომელიც ზოგიერთ სასახლეს უკან არ ჩამოუდგება, ამისი აწერა ძალიან ბევრ დროს და ადგილს მოითხოვს. საკმაო იქნება ვთქვათ, რომ თვითონ მუშების მტერებიც კი ამბობენ, რომ ჩვენ დღეში ვერ მოვიფიქრებდით, თუ მუშა კაცი ასე მშვენიერათ და თავის სხეულის და გონების სასარგებლოთ გაიწყობდა სახლს და საქმეებსო.

სასახლის გაშენების შემდგომ, ამხანაგობამ მოინდომა საზოგადო აბანოების გაწყობა მუშებისთვის, და ეხლა ეს აბანოები კიდევაც მზათ უნდა იყვნენ; აბანოების გარდა, ამხანაგობამ როჩდელის სიახლოვეს დიდი ადგილები იყიდა, ნაწილებათ გაჰყო, ზედ თითო ოჯახისთვის საკმაო სახლები გააშენა, თითო ეტაჟიანი, და ყველას წინ ბოსტანი დაატანა, და უკან ბაღი. ეს სახლები იმ პირობებით მისცა თავის წევრებს, რომ იმათ თუთხმეტი-ოცი წლის განმავლობაში გადაეხადათ ამხანაგობისთვის სახლის ფასი, მისი სარგებლით. ყველას ძალიან გაუკვირდა, როცა დაინახეს, რომ თვითოეულ მყიდველს წელიწადში იმაზედაც ნაკლები უნდა შეეტანა, სახლის ფასათ, რასაც უწინ მარტო ქირაში აძლევდა სახლის პატრონებს. ამნაირათ ამხანაგობამაც ასარგებლა ფული, და მის წევრებსაც და მუშებს საკუთარი სახლები შეეძინათ, თითქმის ფულის დაუხარჯველათ, ამიტომ რომ ის ფული, რომელიც იმათ სახლის ფასათ გაუვიდათ, სახლები რომ არ გაეშენებია ამხანაგობას, სახლის ქირათ დაეხარჯებოდათ.

ბევრი სხვა კარგი საქმე ქნა ამ ამხანაგობამ, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის! დღეს, უწინდელ ოთხი წევრის მაგიერათ, რამდენიმე ათასი წევრია ამხანაგობაში და მისი სიმდიდრე მთელ ინგლისში განთქმულია. როჩდელი ეხლა მშვენიერი, განათლებული და მშვიდობიანი ქალაქია, შიგ განათლებული, ზდილობიანი და პატიოსანი ხალხი სცხოვრობს, რომლის სარგებლობისათვის მთელ ინგლისში დაიარებიან მისი გამგებლები, უმჯობესი ხორაგეულის და მასალების საყიდელათ.

ამისთანა საქმე მოახდინა ოთხმა გაუნათლებელმა, ბნელმა მუშამ, და მათმა დაწყებულმა საქმემ ასე გაამშვენიერა და გააუმჯობესა მთელი ქალაქი და მისი მცხოვრებლების მდგომარეობა.

ნ. ს კ ა ნ დ ე ლ ი.

„სასოფლო გაზეთის“ წინანდელ ნომერში, ამ სტატიის მეხუთე თავი აი როგორ თავდება: „სწავლულებმა თქვეს ეს დიახ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ო“.—ეს შეცთომაა; ამის მაგიერათ უნდა ყოფილიყო: „ეს დიახ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ო.“

საოჯახო ნაწილი.

თევზის მოშენებაზე.

„სასოფლო გაზეთის“ მეცხრე ნომერში დაწვრილებით იყო განხილული ძველიდგან

მოყოლებული თევზის მოშენების ხელობა. ამ ბოლოს დროს საფრანგეთში და სხვა სახელმწიფოებში ისეთი დიდი ყურადღებაა ამ საქმეზე მოქცეული, რომ მეტი არ შეიძლება. თვითონ ნაპოლეონ მესამეს დაუყენებია საუშაოთ საუკეთესო მეცნიერები თევზის მოშენებაზე. ამ საქმეში ყველაზე უფრო ისახელა თავი პროფესორმა ქოსტმა. მთავრობამ გაუშენა დიდი ზუნინგენის თევზის მოსაშენებელი აუზი; ამას გარდა ნაპოლეონმა უბძანა პროფესორს ქოსტს, რომ იმას გამოეკვლია საუკეთესო საშუალება თევზის მოსაშენებლათ და 1861 წელს მოსთხოვა ანგარიშის წარდგენა, რომელშიაც უნდა ყოფილიყო დაწერილებით აწერილი ყოველნაირი გამოძიება თევზის გაშენების თაობაზე.

*
* *

ზუნინგენის აუზის გაშენებისთვის მთავრობამ დახარჯა პირველ წელს ათასი თუმანი; შემდეგ 1859 წლიდგან დაწყებული 1861 წლამდის, ზღვის სამინისტროს გამოანგარიშებით, ამ აუზში თევზის გაშენებაზე დახარჯულა ათი ათასი თუმანი. ქოსტმა განიზრახა, უსათუოდ უნდა მოეიგონო უფრო მოხერხებული განაყოფიერება თევზის ქვირითისაო. და ან რა ღონისძიებით შეიძლება შორს ქვეყნებში გატანა განაყოფიერებული ქვირითისაო.

*
* *

ჩვენ აქ დაწერილებით გავაცნობთ მკითხველებს ყოველგვარს მუშაობას თევზის გაშენებისათვის.

დედალ-მამალი თევზების გამორჩევა. თევზები ძალიან ნაყოფიერნი არიან, ბევრს ქვირითს სდებენ. ამისთვის ქვირითს ბევრს იშოვნის კაცი; მაგრამ საქმე ის არის, რომ კაცმა იცოდეს ქვირითის შენახვა. ისეთ ნაირათ გაუფთხილდეს თევთონ თევზებს, რომ იმათ იწყონ თავის ნებისათ მრავლობა. რადგან ცხოველები თუ დამწყვდეულნი არიან და თავისუფლება არა აქვთ, ადვილათ ბერწდებიან და უუუქმდებათ საშვილოსნო იარაღები ამისთვის უნდა დაიჭირონ ისეთი თევზები, რომელნიც დამთავრებულნი არიან, ან რომელთაც ქვირითით გავსებული აქვთ მუცელი.

*
* *

ქვირითის გამოტეხა და თან და თან პაწაწა თევზების ზრდაზე რომ ნიადაგი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული და თავის დროზე რომ შეიძლებოდეს იმათი ხმარება, აი, ასე უნდა მოიქცეს კაცი. რომელი თევზების გაშენებაც ჭსურთ, იმ თევზების დედალ-მამალს ჩასმენ აუზში, ან განიერ წყლით სავსე ბოჭკებში. ითოთ გვარის თევზს თავისი გაცალკევებული ადგილ-სადგომი უნდა ჰქონდეს. ეს ადგილ-სადგომები ისეა მოწყობილი, რომ ყოველ თევზს თავის შესაფერი სითბოსი და თვისების წყალი უნდა ეძლიოს. მაგალითად, კალმახი, გელაქნური, ორაგული და სხვა იმათ გვარი თევზები სცხოვრებენ მთის ცივ მდინარებში, ამისთვის იმათი საცხოვრებელი აუზები წყაროს წყლით უნდა იყოს გაკეთებული. ზოგი გვარის თევზია, რომ მდორე, დამდგარ წყლებში იცის შენება, ისინი კი გაჩერებულ წყლებში უნდა ჩასხათ ქვირითის დასადებათ.

*
* *

სანამდის განაყოფიერების დრო მოუვიდოდეს, თევზს ბევრნაირათ ინახვენ. ყველას სჯობია პატარა ფიცრული ჰაუზების გაკეთება. ეს აუზი ექვს ოთახთ არის გაყოფილი და კედლებში წყალი ადვილათ გადის. რადგან აუზი ღრმა არ არის, ამისთვის ზვევდგან ფოთლებით დახურვენ, რომ თევზმა შიგ მოიცადოს და არსათ წავიდეს. ყოველ ოთახში, რომელიც სიგძე—სიგანით თითო მტკაველია სამ-დედალს და ორ მამალს თევზს ჩასმენ და ამყოფებენ შიგ სანამდის მთლად არ დადებენ ქვირითს და არ გაანაყოფიერებენ. თუ ზემოხსენებული აუზის გაკეთება არ მოხერხდა, მაშინ თევზებს ჩასმენ დიდ კასრებში, ან კოდებში, ან დაწნულ გოდრებში, როგორც ზევით იყო მოხსენებული. რომელნიც წებოიან ქვირითსა სდებენ, იმ თევზების კასრებში ჩადებენ წნელებს ან ბალახებს. ერთი სიტყვითი, კაცმა თვალ-ყური უნდა უგდოს, რომ თევზები ერთობ ვეწროთ არ იყვნენ დამწყვდეულნი.

როდესაც ქვირითი და მამალი თევზის რძე სრულიად დამწიფებულია და თევზი სრულებით მომზადებულია ქვირითის დადებისთვის, მაშინ შეუდგებიან თევზის განაყოფიერებას ორ სხვა და სხვა ნაირათ. თევზის ქვირითის დების დრო ადვილი შესატყობია. მაშინ თევზს მუცელი გაბერილი აქვს და უკანსავალი დასებული. რომელნიც ქვეშაზე დებენ ქვირითს, იმათი კვერცხები გაცალკევებულნი არიან და ბალახებს ან ფოთლებს არ ეკერება. და რომელი თევზებიც მცენარეზე სდებენ ქვირითს, იმათი კვერცხები წებოიანია და, რასაც მიეკარება, ყველაფერს შეკერება. (კალმახს, ორაგულს და სხვ. უწებოვო ქვირითი აქვს, კარპს, ქორ-ჭელას, ქარიყლაპიას კი წებოიანი.) პირველ გვარს ქვირითს, აი, ამგვარათ ანაყოფიერებენ: აიღებენ თიხის, ან ხის ჭურჭელს,—სულ ერთია, მხოლოდ ძალიან სუფთა გამორეცხილი უნდა იყოს; თავი და ძირი ერთი განის უნდა ჰქონდეს, ძირი სწორი, რომ ქვირითებს შეეძლოსთ ზედ თანასწორათ გაშლა. ჭურჭელში ნახვერათ წყალს ჩაასხმენ. წყლის სითბო თევზის გვარზეა დამოკიდებული. ქოსტი ამბობს, რომ კალმახისა და ორაგულის გვარ თევზებისთვის ხუთი გრადუსიდგან ათ გრადუს სითბოზე მეტი არ უნდაო. თუ ზამთრის ქვირითია, მაშინ ოთხი გრადუსიდგან რვა გრადუსამდისაც ეყოფა. სხვა ზაფხულის ქვირითის თევზებისთვის კი თექვსმეტი გრადუსი სითბოს წყალი უნდა.

*
* *

ამ სახით საჭიროა, რომ თევზის ქვირითს წყალში, იმდენი სითბო ჰქონდეს რამდენიც თვითონ თევზს აქვს თავის საცხოვრებელ წყალში. ერთობ ცივი წყალი შეაჩერებს მამალი თევზის რძეს ანუ თესლს, და ძალიან თბილი კი აჩქარებს გამოდენას და როგორც სცივე, ისე სითბო თუ მომეტებულია, ახდენს მამალი თევზის თესლს.

*
* *

შემდეგ დაიჭერენ ქვირითიანს დედალ თევზს, თავს აღმა უყოფენ და ისარსაეთ გაჩერებენ ჭურჭელ ზემოდგან. ქვირითი თავისით იწყებს გამოსვლას უკანალიდგან. თუ არ გამოვიდა, მაშინ კი თითს დაუსმენ მუცელზე ნელ-ნელა, რომ ძალიან არ დაჭირონ. ქვირითი ცალკე კვერცხებათ იწყებს გამოდენას მუცლიდგან და ჩავარდება ჭურჭელში. შემდეგ მამალ თევზებსაც ასე უქმენ. სანამ თეთრათ არ აიმღვრევა წყალი, მანამდის არ დაეხსნებიან: მერე აურევენ ჭურჭლის წყალს ან თევზის კუდით, ან ფრთით. ათი მინუტის განმავალობაში ქვირითი მამლის რძით განაყოფიერებულია. მერე ქვირითს გარეცხენ, გამოუცელიან წყალს და გადაიტანენ ცალკე ჭურჭლებში.

*
* *

საზღვარ გარეთ ხმარობენ ერთნაირს მოწყობილობას ქვირითის გასანაყოფიერებლათ. ის არის რკინის ბადის უჯრა გაკეთებული.

ბადეს ისეთი წვრილი თვლები აქვს, რომ ქვირითის მარცვლები არ გაეტევიან. ამისთანა უჯრა იმითია კარგი, რომ განაყოფიერების შემდეგ წყალს გადასხმა არ უნდა, თვითონ გავა და შევა უჯრაში, განსაკუთრებით კარგი იმითია ეს უჯრა, რომ ამ ბადიან უჯრაში რამდენიც გინდა, იმდენს წყალს დააყენებ. წყალში გაშლილს მამლის თესლზე, ანუ რძეზე რომ დაყრიდენ დედლის ქვირითს უმჯობესი იქნება, ამიტომ რომ უფრო კარგათ განაყოფიერდება.

*
* *

მეორე ნაირი ქვირითის განაყოფიერება, რომელსაც მშრალი განაყოფიერება ჰქვია, ვრასკიმ მოიგონა. აიღებენ ორს ჭურჭელს, ერთში თევზის ქვირითია და მეორეში მამალი თევზის რძეს ანუ თესლს მოაგროვებენ და შიგ წყალს ჩაასხმენ, რომ შეიძლებოდეს ამ თესლის გადასხმა ქვირითზე. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს მეორე გვარი განაყოფიერება უფრო სასარგებლოაო, რადგან აქ ას კვერცხში, იქნება ერთი კვერცხი დარჩეს გაუნაყოფიერებელი, მაშინ როდესაც პირველი საშუალებით ას კვერცხში, თორმეტი მაინც რჩება გაუნაყოფიერებული. ათასი ქვირითის კვერცხის გასანაყოფიერებლათ ერთი ჩაის კოვზი მამლის რძეა საკმაო. ვრასკის მოგონილი განაყოფიერება მხოლოდ ზამთრის ქვირითიან თევზებზე გამოდგა, ზაფხულის ქვირითიანებზე კი არ უცდიათ. ზემოხსენებული განაყოფიერებისთვის საჭიროა, რომ ქვირითი და მამლის თესლი სრულებით დამწიფებული იყოს, აგრეთვე წყლის სითბოც უნდა იყოს შესაფერი.

*
* *

ყოველ გვარს თევზს თავისებურათ მოწყობილი თევზის გამოსაყვანი უჯრები უნდა. კალმახს, ორაგულს უნდა ცივი, წმინდა და ჩქარი მდინარე. ამისთვის ახალი თევზების გამოსაყვანი უჯრებიც ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ყველა ზემოხსენებულ პირობებს შეეფერებოდეს. ამისთანა თევზებისთვის იაკობიმ გააკეთა გძელი ხის უჯრები, და თავში და ბოლოში რკინის ბადე ჩაუყენა, რომ შიგ ცივი წყალი მუდამ შედიოდეს და გადიოდეს.

*
* *

გერმანიაში ჯერ იაკობის მოწყობილ უჯრებს ხმარობდენ და მერე იმათ მაგიერათ თანაქის რგვალი ყუთები შემოიღეს, რომლების ძირი და კედლები წვრილათ არის დახვრეტილი. ზევით ამ ყუთს სახურავი აქვს. მაგრამ გამოცდილებით დარწმუნდენ, რომ ეს ყუთები მხოლოდ ძალიან ჩქარა და წმინდა წყალში იქნება გამოსადეგი. ბევრი სხვანაირი ყუთებიც გააკეთეს, მაგრამ ყველას ჰქონდა სხვა და სხვა ნაკლულევანება, არც ერთი ამისთანა ყუთები არ იყვნენ მოხერხებულნი. პროფესორმა კოსტმა კარგათ შეისწავლა ამგვარი ყუთების მოწყობილობა, იმათი მოუხერხებლობა ზოგიერთს შემთხვევაში და ბოლოს თვითონ გააკეთა ასეთი უჯრები, რომელნიც იყვნენ ძალიან მოხერხებულნი და ადვილი სამოჳვნელნი.

*
* *

კოსტის მოწყობილი ყუთი სიგძით მტკაველ ნახევარია და სიგანით და სიმაღლით ერთი ციდა. ზევით სახურავი ორ-კეცია და ორივეს ჩატანებული აქვს რკინის ბადე. თავში და ბოლოში აგრეთვე სახურავები ბადეჩაყენებულია. შიგნით რამდენიმე რიკულია ირდიგარდათ გაკეთებული და ზედ შუშის რიკულებიანი ხის ჩარჩოებია. ამ ჩარჩოებზე დადებენ განაყოფიერებულს ქვირითებს, მაგრამ ქვირითი გაშლილი უნდა იყოს და ერთ ალაგას არ უნდა იყოს გროვათ დაყრილი. რადგან კალმახისა და ორაგულის ქვირითი მძიმეა, ის მაშინვე ყუთის ძირში ჩაწვება, ამისთვის ყუთს ძირზე რომ წმინდა ქვაშა გაეფინოს, კარგი იქნება. სხვა თევზების გვარსა, რომელთაც ქვირითი წებოიანი აქვს, იმათ ბალახები უნდა ვაუბანდოთ ზემოხსენებულ უჯრებში, რადგან ქვირითი უფრო მსუბუქია და თუ ბალახზე არ მიეკრა, წყალი წაიღებს. თუ კოსტის უჯრას ხმარობენ, მაშინ ქვირითი შუშის ცხრილებზე უნდა გაშალონ. ამ შემთხვევაში კოსტის ყუთი ძალიან კარგია, რადგან იმაში წყალი თანასწორათ უვლის ყოველ კუთხეს და ალაგს.

(შემდეგი იქნება)

ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ნ ა წ ი ლ ი.

რ ა ა რ ი ს ქ ი მ ი ა?

*
* *

ბუნებაში კიდევ არიან ისეთი სხეულები, რომ თითქოს ერთგვარი ელემენტებისაგან არიან შემდგარნი; მაგრამ სრულებით არ ჰგვანან ერთმანეთს, მაგალითად ს ა ხ ა მ ე ბ ე ლ ი და შ ა ქ ა რ ი. ესენი ორივე სამ-სამ ელემენტებისაგან არიან შემდგარნი, მჟავ-თავა, წყალთავა და ნახშირთავასაგან, მაგრამ განა შაქარი სახამებელსა ჰგავს, ორივე თეთრია, აი, იმათი მსგავსება მხოლოდ ეს არის. ან მაგალითად ა ლ მ ა ს ი და ნ ა ხ შ ი რ ი ავიღოთ. ისინი ორივე ხომ წმინდა ნახშირნი არიან, სხვა არა ურევია რა იმათში; მაგრამ აბა შეხედეთ რა განსხვავებაა; ერთი როგორც მზე, ისე ბრწყინავს და სჭვირს, მეორე ღამესავით შავია. რათ არის ასე? ამისთვის რომ რომელიმე ელემენტი ერთ სხეულში ან მეტი იქნება ან ნაკლები, თუ არა და ერთი სხეულის ნაწილები, ანუ ა ტ ო მ ე ბ ი ერთში ერთგვარათ დაწყობილან და მეორეში სულ სხვაგვარათ. ამისთანა მაგალითები ბევრია. თუნდ ავიღოთ ყინულის ნატეხი და თოვლის გუნდა, ორივე გაყინული წყალია, მაგრამ რომ შეხედო დიდი განსხვავებაა იმათში; ამისთვის რომ ყინული მძიმე, მაგარია და შიგ, როგორც მინაში, ისე გადის სინათლე; თოვლი კი რბილი, მსუბუქი, თეთრია და შიგ სინათლეც არ გადის. ყინულის ნატეხში ნაწილები მჭიდროთ და ერთმანეთთან უფრო ახლოს დალაგებულან, ვინამც თოვლში. მაგრამ ყინული რომ დაფხიკოთ და ერთმანეთში აურიოთ, მაშინ ნაწილები უფრო დაშორდებიან ერთმანეთს და თოვლი გამოდის.

*
* *

ბუნებაში ყოველი ქმნილება იბადება, ცხოვრობს, როგორც შეხვდება და შემდეგ კვდება,—სჩანს დაიშლება იმ ნაწილებათ, რომლებისგანაც იყო შედგენილი. ჩვენ ვიცით, რომ ამ ნაწილებს ელემენტები ჰქვია. ამ ელემენტებისგან კიდევ რამე დაიბადება ბუნებაში, ისევ ცხოვრებს და ხელმეორეთ დაიშლება. მაშ როცა ან კაცი, ან ცხოველი მოკვდება, ან მცენარე დაჭკნება, ესე იგი, როცა იმასაც სიკვდილი მოუვა, ამის შემდეგ არაფერი არ იკარგება. როდესაც, რაიმე აღარ ცხოვრობს,—კვდება—ეს იმას ნიშნავს, რომ ელემენტების შედგენილობა გადასხვაფერდა. ყველამ ვიცით, რომ იგივე ელემენტები მკვდრისთვის საჭირო აღარ არიან. ისინი დაიშლებიან და ყოველი თავის გზას მოსძებნის, სხვა საქმეს მოხმარდება.

*
* *

სჩანს, რომ ქვეყანაზე არაფერი არ იკარ-

ება, თუნდ პაწაწინა ბუსუსიც იყოს. ან კი როგორ უნდა დაიკარგოს?—სად უნდა წავიდეს? მიწის მოშორება და სადმე მთვარეზე, ან ვარსკვლავზე გაფრენა არ შეუძლია. არ შეუძლია ამიტომ რომ ოდნა ბუსუსიც ბუნების სხეულია და დედა-მიწა, რაც იმაზეა, ყველას ძალიან მაგრათ იზიდავს თავისკენ, არსად არ უშვებს. ბუმბული ან ბუსუსი ქარისგან ადის მაღლა ჰაერში, მაგრამ, როგორც კი ქარი ჩადგება, ისიც მაშინვე თან-და-თან ძირს ჩამოდის და მიწაზე ვარდება. რა მიზეზია, რომ მიწა ყოველ-ფერს თავისკენ იზიდავს, არ უშვებს, ამის ახსნას რომ გამოუდგეთ, ძალიან შორს წავა. ჩვენთვის ამის ცოდნაც საკმაოა, რომ ყოველი სხეული ეკვრება მიწას—და თუმცა ის ბურთსავით რგვალია, მაგრამ მაინც იქიდგან არა ვარდება რა, მაშ ჩვენ ქვევით ამ ბურთის მეორე გვერდზედაც კაცები სცხოვრობენ, მაგრამ არ ვარდებიან, აგრეთვე ბუსუსსაც არსად არ შეუძლია გაფრენა. და თუ გაჰქრა, თუ დაიშალა ელემენტებათ, ეს ელემენტები მაინც რჩებიან, იმათი დარღვევა აღარ შეიძლება და მიწას იქითაც ვერსად წავლენ. ისინი იწყებენ სვლას ხან აქ, ხან იქ, სანამდის ბუნება არ ჩაურთავს იმათ რამე სხეულის გასაკეთებლათ.

* * *

თითქოს, ცეცხლისთანა საშინლათ არაფერი არ აქრობს ნივთესს ქვეყანაზე. მაგრამ ცეცხლი მართლა კი არ აქრობს ქვეყანაზე ნივთებს, ის მხოლოდ ნაწილ-ნაწილათ არღვევს იმათ. რომ შეგვეძლებიყო ყველა ამ ნაწილების მოგროვება, მაშინ ცხადათ დაერწმუნდებოდით, რომ ოდნა ბუსუსიც არ გამქრალა ცეცხლის გამო. ისინი ყველანი ჩვენ თვალწინ იქნებოდენ და შეიძლებოდა ხელმეორეთ შეგვედგინა ის სხეული, რომელიც ცეცხლმა დასწვა. იმათ შეაგროვებს სიბრძნის ჭურჭელი, რომელსაც ჩვენ მეცნიერებას ვეძახით. მეცნიერებას აქვს მოპოებული ამის ღონისძიება. თუ რაიმე საშუალობა არ იხმარე, უამისოთ როგორ შეკრებს მაგალითად, ხის ნაწილებს, რომელიც ცეცხლს დაუწვამს; ზოგი კომლათ და ჰაერგვარათ ადის მაღლა ჰაერში და, თუ ბუხარში გადის, იმის კედლებზე ჭვარტლს სტოვებს, მომეტებული ნაწილი კი ჰაერში გადი-გამოდის და იმალება ჩვენი თვალისაგან. ისინი თითქო ცდილობენ, რაც შეიძლება მალე შეერიონ ბუნებას და ჩაერთონ რაიმე ახალი ნივთის გასაკეთებლათ. სხვა ნაწილები, რომელნიც უფრო მძიმენი არიან და კომლთან ვერ ადიან მაღლა, ისინი ან ჭერში რჩება, ან ბუხრის მილში ჭვარტლათ, ან კერაზე გროვდება ნაცრათ და ნახშირებათ და რჩებიან, სანამ რამეში არ მოიხმარს იმათ ბუნება.

* * *

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ნივთის დაწვა მხოლოდ იმის დაშლაა რამდენიმე ნაწილათ, რომლებისგანაც ეს ნივთია შემდგარი. მძოვრიც და ლეშიც მხოლოდ ნივთის დაშლაა ნაწილ-ნაწილათ. მაგრამ დაწვასა და ლეშ-შუა განსხვავებაც არის. როდესაც რამე ნივთი იწვის, ის მალე იშლება, ისე რომ ორი საათის განმავლობაში რაც უნდა მსხვილი ნივთი იყოს, იმისი ოდნა ბუსუსის არ დარჩება დაუშლელი და როცა ლეშში ირღვევა, იმის დაშლას მთელი თვეები და წელიწადები უნდება. მაშ ლეშში როცა ირღვევა ეს, იმას ნიშნავს, რომ ცოტ-ცოტათ იწვის, თითქოს ფუვისო. ბოლოს ესეც იმითი თავდება, რომ თუმცა იმ წინანდელი სხეულისა არა რჩება რა, მაგრამ იმის ნაწილები კი სულ ერთიანათ მიწაში რჩებიან.

* * *

უნდა ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ბუნება ჩინებული ჭკუიანი მეოჯახეა. ოდნა ნივთიც იმისთვის გამოსადეგია, არასფერს არ ჰკარგავს, ყოველფერს საქმეში იყენებს. მაგალითად შემოდგომაზე რომ დამჭკნარი ფოთლები სცვივიან ხეებიდგან. რომ შეხედო, იფიქრებ, რაში უნდა გამოდგენო ისინი?—მაგრამ ბუნებაში ეს გამხმარი ფოთლებიც არ იკარგებიან უნაყოფოთ. ისინი ირღვევიან ცოტ-ცოტათ, ესე იგი იშლებიან ნაწილ-ნაწილათ. ბოლოს შეხედავ, რომ იმათგან კეთდება შავი მიწა, რომელიც ზრდის თვითონ იმ ხეებს, საიდგანაც ფოთლები ჩამოცვენილან;—ამასთანავე იქვე რომ ბალახი ამობიბინებულა, ისიც უფრო მხიარულათ იზდება, ვინამც სიპ კლდეზე ამოსული, საცა უფრო ნაკლები საზდო აქვს.

* * *

ყველამ ვიცით, რომ კაცი და ცხოველი სუნთქავენ, ესე იგი ჰაერს ჩაუშვებენ ფილტვებში და ისევ ამოუშვებენ. ერთი სიტყვით მუდამ საბერველსავით მუშაობენ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჰაერი როგორიც ჩადის საბერველში, ისეთივე გამოდის, კაცსა და ცხოველს კი სულ სხვანაირათ ემართებათ. ამონასუნთქავი ჰაერი არ ჰგავს ჩასუნთქებულს. ჰაერი ჩადის ჩვენ ფილტვებში ძმართავიანი და, როცა ამოდის, ძმართავა არა აქვს. ეს რასთვის არის?—იმისთვის რომ ჰაერი თავის ძმართავას სისხლში სტოვებს და ძმართავის მაგიერათ სისხლიდგან გამოჰკრებს ნახშირ-ძმარას და ყოველ ამოსუნთქვაზე გააქვს სხეულიდგან, რადგან ის სხეულისთვის უვარგისია.—ეს როგორ შეიძლებაო?—მეტყვის ზოგიერთი—თუ ეგრე იყოს, ამდენხანს ჩვენი ჰაერი სულ გაიტენებოდა ნახშირ-ძმარათი და სუნთქვისათვის აღარ ივარგებდაო; კაცები და ცხოველები ბევრია ქვეყანაზე, მაშ თუ დღეს არა, ხვალ მაინც უნდა ისუნთქონ ნახშირძმარათი, რომელიც საწამლავია ჩვენი სიცოცხლისთვის. მაგრამ აქაც თავისებური გონიერებით ოჯახობს ბუნება. ის ნახშირ-ძმარას მცენარეებისთვის ინახავს, რადგან ეს იმათი უმთავრესი საზდოა. მცენარეები დღისით სწოვენ ამ ნახშირ-ძმარას ჰაერიდგან და ღამით ფოთლებ-დგან უშვებენ ძმართავას, რომელიც ჩვენთვის და ყოველი ქმნილებისათვის საჭიროა. მაშ აქ ერთი მეორეს ხელს უწყობს და ორივე მოგებაშია.

* * *

ამის შემდეგ ყველასთვის ადვილი გასაგებია, რომ რაც დაირღვა ან დაიწვა, იმის ნაწილები კი არ იკარგებიან მიწაზე, ისინი ყოველ ახალი ნივთის შესადგენათ მოხმარდებიან. ახლა ესეც ადვილი გასაგებია, თუ საიდგან წარმოსდგა ის მშვენიერი მინდვრის ყვავილი?—რასაკვირველია ელემენტებისგან და ესენი კი ყვავილმა იშოვნა თავისთვის ზოგი მიწიდგან, საცა ბევრი რამ არის დარღვეული, ზოგი ჰაერისაგან, ან წყლისაგან, სადაც ბევრია ყვავილის მარგები და ურგები ელემენტები. ის ტკბილათ ყვავის თავისთვის, მოვა დრო, როცა იმანაც უნდა გადუხადოს ბუნებას თავისი ვალი—მოკვდება და მისცემს ბუნებას თავის ელემენტებს ოჯახში გამოსაყენებლათ.

* * *

სამნი სამეფონი ბუნებისა.

ქვეყანაზე რაც ცხოველები და მცენარეებია, ყველანი ერთად შეადგენენ ორს დიდს სახლობას; ერთი სახლობა სრულებით არა ჰგავს მეორეს, მაგრამ ერთიცა და მეორეც ერთობ დიდია, ასე რომ სახლობა აღარ და-

ერქმის; ამისთვის მეცნიერებამ აქ მოიგონა სხვა სახელი. ის ეძახის იმათ ბუნების სამეფოებს. ერთს *ცხოველთ სამეფოს* და მეორეს *მცენარეთ სამეფოს*. ისინი ერთმანეთში არ არიან გაცალკევებულნი, იმათ მიწა და წყალი სულ ერთიანათ გაუყოფელი აქვთ; მგონია, დედა-მიწის ზურგზე ისეთი კუნჭული არ იპოება, სადაც ცხოველიცა და მცენარეც ერთად არ იყონ. ისინი ისეთი პაწაწინებიც რომ იყონ, თვალით არ იხედებოდენ, მაინც თუ დააკვირდი და კარგათ მოსძებნე, უსაცილოთ ნახავ ერთსაც და მეორესაც.

*
* *

ერთი სამეფო კიდევ არის ბუნებაში, რომელიც იმ ორივე სამეფოზე მომეტებულათ დიდია და ეს სამეფო იმიტომ არის უფრო დიდი, რომ შეადგენს მთელს ჩვენს დედა-მიწას. მაშ ამ მესამე სამეფოს შეადგენენ ჩვენი დედა-მიწის ნიადაგი, ყველა მთები, კლდეები, ქვები და სულ ყოველფერი, რასაც კაცი სთხრის მიწაში თავის საჭიროებისთვის, მაგალითად, ყოველგვარი მადანი, თიხა, კირი, მარილი, შაბი, მრავალგვარი ძვირფასი ქვები. ამ მესამე სამეფოში ბევრი იმისთანა ნივთებია, რომელნიც ზღვის წყალში არიან გამდნარნი და სხვა და სხვა წყაროებში,—ამისთვის აქ წყალს სრულებით არა აქვს მდინარე-წყლის გემო.

*
* *

რა დაარქვა მეცნიერებამ ამ მესამე სამეფოს?—იმას დაარქვა *მადნეულობა*. ყოველი სხეული, რაც ამ სამეფოში იმყოფება, არის მადნეული, მაშ მარილი, ქვიშა, რკინის და სპილენძის მადნეულები და ყოველგვარი ქვა იაფი და ძვირფასი—სულ მადნეულია.

*
* *

აქ არის მოხსენებული ის ბუნების სხეულები, რომელნიც შეადგენენ *მადნეულის* სამეფოს. ზოგი იფიქრებს, ეს რა გაუგებარი რამ არისო? ბანა მართლა ქვიშა, ქვა და მადნეული ყველანი მთებში ცხოვრობენო? —უეჭველია. ყოველი მადნეული ცხოვრობს, მაგრამ იმათი ცხოვრება ჭია-ბუზის ცხოვრებას ხომ არა ჰგავს. მადნეულობას თავისი განსაკუთრებული ცხოვრება აქვს—*მადნეულის ცხოვრება*.

*
* *

ახლა თუნდ დავიწყოთ იმითი, როგორ კეთდებიან მადნეულები ქვეყანაზე? რასაკვირველია, რომ ისინი ისე არ იბადებიან, როგორც მცენარე და ცხოველი. ყოველი მადნეული, აი, როგორ იბადება. ერთი ნამცეცი ნაწილები და დიდნიცა, რომელნიც ერთი ერთმანეთსა გვანან ერთი მეორეს ეკვრებიან შეადგენენ ერთ გროვას, ან ერთ გუნდს და საქმე ამით თავდება; მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ბუნებას თითქოს უსწავლებია ამ ნაწილებისთვის, რომ ერთმანეთს მიეკრან. როგორც კი შეხვდებათ იმათ ერთმანეთთან, ყოფნა, ისინი მაშინვე ცდილობენ, რომ ერთი ერთმანეთს დაუახლოვდნენ და მოეჭიდონ; ბოლოს შეხედავ, რომ მესამეც ზედ დაერთვის, მეოთხეც და ამგვარათ შესდგება გროვა ანუ ნაწილების გუნდა; მაგრამ ისე უხეიროთ ნაკეთები კი არა, კარგი მოყვანილი ნაჭერი გამოვა, თითქოს ოსტატს ყალიბში გამოუყვანიაო. რომ შეხედო ძვირფასი ქვა გეგონება, ასე რომ თუ გინდა საყურებშიაც ჩასვი თვალად.

*
* *

უფრო ნათლათ გვეჩვენება ეს საკვირველი საქმე მაგალითების მოყვანით. ავიღოთ რომელიმე უბრალო მადნეული, მაგალითებრ, მარილი, რომელსაც ყოველ დღე საჭმელში ეხმარობთ. გავხსნათ ჩვენ ეს მარილი წყალში, ერთი ცვარი ამ მლაშე წყლისა დავასხათ შუშის ნაჭერს და ზედ დავაცქერდეთ იმ შუშით, რომელიც სათვალეებზე უფრო გარჩევით გვიჩვენებს ყველა პაწაწა ნაწილებს; ხუთი მინუტის შემდეგ დავინახავთ, რომ მარილის შეუნიშნავ ნაწილებიდგან იმ ცვარში გაკეთდება აქა-იქ მარილის პაწაწა ნაჭრები. ეს ნაჭრები ერთი ერთმანეთის მგზავსნი და თანასწორნი იქნებიან თითქო სულ ერთ ყალიბში არიან გამოსულნიო. ყველა ამ ნაჭერს ექნება ექვს-ექვსი სწორე გვერდი, როგორც ნარდის კამათლებს. თუ ცვარს არ მოვაშორებთ თვალს, მაშინ შეგვიძლიან დავინახოთ, რომ ეს სწორე ნაწილები მარილისა კიდევ ერთი ერთმანეთს მიეკვრებიან როგორც შეხვდებათ და შეადგენენ გუნდებს.

სწორეთ ამ გვარათვე, როგორც პაწაწა ცვარში, ბუნებაშიაც კეთდებიან დიდრონი ნაჭრები და მთელი მარილის კლდეები, რომელთაც ჩვენ ვსჭრით და ეხმარობთ საჭმლისთვის, მაგრამ იმის მეტი კი არა იციან რა, რომ მარილი მარილია და იმას კი არა ცდილობენ გაიგონ, როგორ ჩნდება მარილი ქვეყანაზე. ამ გვარათ თანასწორე და ერთ ზომი პაწაწა ნაჭრები მადნეულს ხომ არა აქვს, დიდრონებიც არიან: არიან იმისთანებიც, რომ ოთხი ვერშოკის ოდენა სიგძე აქვთ.

*
* *

ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველ მადნეულს თავისი შესაფერი მოყვანილობის ნაწილი აქვს. არის ნაჭრები, რომელნიც დაკუთხულ სვეტებს ჰგავან, ან პაწაწა თევზის ქერტლებს, ან კიპრუჭებს, ან ფილაქნებს. და რომ შეხედო, თითქოს ყველანი ყინულები არიანო. ამისთვის ბერძნულათ იმას ეძახიან „პრისტალს“, ჩვენებურათ ნიშნავს „გაყინულ სხეულს“. რადგან ეს პაწაწა სხეულები იბადებიან ანუ უკეთ ვთქვათ ჩნდებიან, მერე ერთი მეორეს მიეკვრებიან და შეადგენენ დიდს ნაჭერს, ამისთვის ამ მოქმედებას სწავლულები ეძახიან „ქრისტალობას“, როგორც ვიტყვით ყინვას, ანუ ყინულობას. ჩვენებურს ენაზე ამისთანა ნაწილებს ეძახიან ბროლს და რომლითაც კეთდება ეს ნაჭრები, იმ მოქმედებას დავუძახოთ „ბროლობა“.

საექიმო ნაწილი

წითელა.

თუ კაცი გაუფთხილდა, წითელა ძალიან ადვილი მოსახდელი ავათმყოფობაა ყმაწვილებისთვის და თუ, როგორც იმის რიგია, ისე არ მოექცა, მაშინ იმაზე უარესი და მომაკვდინებელი არა არის რა.

*
* *

უმთავრესი მოვლა და ყურის-გდება ის იქნება, რომ ამ ავათმყოფობის რიგი არ დაარღვიონ, არ ჩიუშვან იმდენზე, რომ დროს გადააცილოს ტანზე წითლათ გამოფენა, ან სანამდის დრო არ დაუდგება, მანამდის არ გამოჰყაროს წითლათ. ამისთვის თვალყური უნდა ადევნონ იმ ყმაწვილებს, რომელნიც ჯერ კიდევ მოუხდელნი არიან წითელისა და თუ რამე ნიშანი გამოაჩნდათ, როცა წითელაა გავრცელებული, მაგალითად, ან თუ სიცხე მიეცათ, ან ციება აუტყდათ, ან ყელი ასტკივდათ, მაშინვე შინ უნდა ამყოფონ, დააწვინონ და გარეთ არ გაუშვან. როგორც კი დარწმუნდებიან, რომ ეს წითელას ნიშნებია, მაშინვე თბილ ოთახში უნდა დააწვინონ და ოთახიც მუდამ ერთნაირათ უნდა იყოს გამ-

თბარი. ამასთანავე ოთახებში ფარდები უნდა ჩამოუშვა, რომ მომეტებული სინათლე არ აჯავრებდის. მომეტებული სითბო ოთახისა, ან ქვეშსაგებისა, ცივებას გაუძნელებს და სისხლი აუარდება თავში, ამისთვის ავათმყოფი უნდა დააწვინო ბუხრიან ოთახში, სადაც შეიძლებოდეს ცეცხლის დანთება, თუ საჭირო იქნა.

* * *

ერთობ დალამებაც არ ვარგა. თუ წითელა ადვილი სახდელია, ძნელი გასაჩერებელია საწოლში ყმაწვილი. მაგრამ რაც უნდა გასჭირდეს, ნება არ უნდა მისცეთ გარეთ გამოსვლისა, რადგან ადვილი სახდელი წითელაც შეიძლება ისეთ ნაირათ გაძნელდეს, რომ ავათმყოფის მორჩენის ღონე აღარ იყოს.

* * *

საზრდო ცხელი არ უნდა აჭამო, არც იმისთანა რამ საჭმელი უნდა მისცე, რომელიც კუჭს ამძიმებს: ავნებს ხორცი, ყავა, სხვა და სხვა გვარი ჩაე; არგებს—ბრინჯი, მოხარშული, ან შემწვარი ვაშლი, ქერის ან შვრიის ნადუღი, კარაქ-წასცხებული თეთრი პური, შაქრის წყალი. სანამდის კანი არ გაძვრება ავათმყოფს, არც ტანი, არც პირი არ უნდა დაიბანოს. უნდა ერიდოს ორ-მხრივ ქარს და ოფლის დენაც უნდა აცალონ. თუ ფიცხი ხველა აუტყდა, თითო ჩაის კოვზს ტკბილ შარბათს მისცემენ. თუ სისხლი ძალიან აუარდა თავში, მაშინ დაალევინებენ ყოველ საათს თითო კოვზს მაგარ ღვინოს; ამასთანავე ხშირად ასმევენ შაქრის წყალს, რომ ოფლი მოუვიდეს. საზოგადოთ წითელიანს წამალი არა უხდება რა, ის კი არა კიდეც აწყენს. უნდა დაათმობინონ მავნებელი საჭმელები, ეს ყველას სჯობია. ამასთანავე საფაღარათო წამლები უნდა მისცენ, რომ მუცელში არ შეკრას. თუ თვალები ასტკივდა, თვალის უბეებზე რომ ქინძის სპირტი წასცხონ, ან ვარდის ზეთით რომ მობანონ თვალები, კარგი იქნება.

რუსეთის ამბები.

ამ წელს ღვინობისთვეში ოდესსაში მმართებლობისაგან დანიშნულია ღვინოების გამოფენა მთელი რუსეთის ღვინოების დამყენებელთათვის. ეს გამოფენა იმ განზრახვით გაიმართება, რომ რუსეთის სახელმწიფოში გამოცხადდეს, სად რა ღვინო მოდის, ღვინის მყიდველმაც და გამყიდავმაც ერთმანერთის ვითარება შეიტყონ და ამ გვარათ გავრცელდეს ღვინის ვაჭრობა. ამ გამოფენაში, უეჭველია, იქნება ყირიმისა, ბესსარაბიისა, დონისა და სტავროპოლის გუბერნიის ღვინოები, მეტადრე პირველ სამ ადგილიდგან ვენახის პატრონები და ღვინის დამყენებლები უეჭველათ გაგზავნიან თავის ნაწარმოებსა, რადგანაც ოდესსასთან შორს არ არიან და კარგი გზებიც არის ხმელეთით და წყლით. ჩვენს ვენახის პატრონებს შეუძლიათ ამ შემთხვევაში თავიანთ თავს კარგი სარგებლობა მისცენ, თუ მოისურვებენ ცოტაოდენს ხარჯსა და მეცადინეობასა. ჩვენი კახური ღვინის სახელი გათქმულია რუსეთში; მაგრამ—სახელით, გემოთი კი არავის არ უნახავს. თუ აქედამ ღვინოები მიაქვთ პეტერბურღს და მოსკოვს, მარტო ყიზლარელ ან ასტარხნელ მეღვინეებს მიაქვთ, ისიც კავკავში ნაყიდია და მერე ადგილობრივ მიტანის შემდეგ მასალებით შეზავებული და სხვა ღვინოებში არეული. აქ დაჩვეული კახურ ღვინოს პეტერბურღში ვერა სვამს, ისეთი საძაგელი რამ არის. ბოთლი კი ორ მანეთათა ღირს! რასაკვირველია, რომ რუსეთში არ გაიყიდება ის კახური ღვინოები, რომელსაც იქნება კახეთი კი არა, ყიზლარიც არ ენახოს. ამასთან არც შენახვა იციან ღვინისა იქაურ მეღვინეებმა და ამ მიზეზებისა გამოთ რუსეთში ძალიან ცოტა გააქვთ ჩვენებური ღვინოები. ამ შემთხვევაში ჩვენს ვენახის პატრონებს და ღვინის დამყენებლებს კარგი დრო აქვთ თავიანთი ნაწარმოები აჩვენონ გამოფენაზე. ამ ჟამათ გზები კეთდება და ამ ორ-სამ წელიწადში ჩვენსა და რუსეთს შუა დიდი მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა გაიმართება. ამისთვის ამ შემთხვევას თავი არ უნდა დაანებონ ღვინის დამყენებლებმა და ეხლავე გამოაჩინონ ჩვენი ღვინოები, რომ შემდეგისათვის გამოადგეთ, მეტადრე ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობაში, როდესაც უფულობას უჩივით.

აქ მოვიყვანთ ზოგიერთ მუხლებს გამოფენის კანონებისას, რომელიც უფრო საჭიროა.

გამოფენაში მიიღება ყოველგვარი ყურძნის ღვინო, ყურძნის სპირტი, არაყი, ძმარი; მიიღება ყოველ გვარი ჭურჭელი ღვინის დაწურვისა და შენახვისათვის ხმარებული, და ვენახში სახმარებელი იარაღები ანუ ნამდვილი ზომისა ანუ პატარათ გაკეთებული; აგრეთვე ვაზი ნედლი ანუ ხმელი, ყურძნის მტევნები; პლანები ვენახისა და სურათები ვაზისა და ყურძნისა.

ესეები მიიღებიან იმათგან, ვისაც თავისი საკუთარი ვენახი აქვს და ან ნაყიდი ყურძნით აყენებს ღვინოებსა.

სასმელები კარგა დაცობილ და დაფისულ ბოთლებით უნდა გაიგზავნოს და ყოველგვარ ღვინისა სამი ბოთლი უნდა.

სასმელებისა, იარაღებისა და ჭურჭლების გაგზავნასთან უნდა დააყოლონ წერილები, რა ადგილიდგან არის, რომელი ყურძნის ჯიშის ღვინოა, ვენახი რა ნაირ ადგილს მდებარებს, მაღლობზე, თუ დაბლობზე, რამოდენა ადგილი უჭირავს და რამდენ ღვინოს იძლევა. ვაზის მოვლა და ყურძნის დაწურვა; რა ხანს სძლებს ღვინო; რამდენის წლისაა გამოგზავნილი ღვინო.

უკეთეს ჩვენებურ ღვინოებისთვის დანიშნულია საჩუქრები: მენდლები და ფულები, ხუთი თუმანი და ორ თუმან ნახევარი.

საკვირველი შემთხვევა.

სამთვარიოთ ავათმყოფი. ლუბეკის ფურცელი მოგვითხრობს შესანიშნავს ამბავს სამთვარიოთ შეპყრობილისას. დოქტორის ცხრა წლის ვაჟი ლუბეკში თურმე უწინ სამთვარიოთ იყო ავათმყოფი, მაგრამ მერე კი დიდხანს აღარ გამოსჩენია ეს ავათმყოფობა. ორს იანვარს ცოტა კუჭის ტკივილი ჰქონდა და საწოლიდგან არ ამდგარა. საღამოს ცხრა საათზე ყმაწვილი მძინარე ადგა, ფანჯარას ფარდა ახადა, გატეხა ერთი მინა და რომ ხელი ან ტანი არ გაეჭრა, შუშის ნატეხები ყველა გამოიღო ჩარჩოდგან, სტოლზე დააწყო და შემდეგ გაძვრა ჩარჩოში და ფანჯარაზე ერთი ხელით დაეკიდა. ამდროს შემოუსწრო ღამის დარაჯმა; რომ დაინახა ფანჯარაში გასული ყმაწვილი, რომელიც ცალი ხელით ფანჯარაზე დაკიდებულ იყო, შეშინდა და დაუყვირა: „მაგრათ დაიჭირე ფანჯრის რიკული, სანამდის სხვებს დაუძახებდეო შენ ამოსაყვანათაო." ყმაწვილს ამდროს ალბათ გამოეღვიძა, მაშინვე ხელი გაუშვა ფანჯრის ხეს, ჩავარდა და დაეცა მეორე ეტაჟის არშიაზე, იქიდგან გადავარდა და რაღაც ბედათ ძირს თოვლი იყო დაგროვებული, შიგ დაეცა, თორემ ზიარებას ველარ მიასწრებდა კაცი. ყმაწვილს თავი გასტეხოდა და უგრძნობელი შემოიტანეს შინ. ახლა როგორც სწერენ, კარგათ არის და მალე მორჩება.

განცხადება

კავკასიის მთიელების სამმართველო აცხადებს, რომ მომავალი თვის 7 და 8-ს ამ სამმართველოს სადგომში დააჭერინებენ ეგზამენს და ექიმები შეამოწმებენ იმ ყმაწვილებს, რომელნიც ჩარიცხულნი არიან კანდიდატებათ და რომელნიც სახელმწიფო ხარჯით უნდა გაიგზავნონ წელს, სამხედრო გიმნაზიებში სწავლის მისაღებად.—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Іюнія, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.